

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 01 08

პროგრამის დასახელება:

მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის ადმინისტრაცია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება-გამომუშავება, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამის აღწერა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის № 319 დადგენილების შესაბამისად განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებები და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და წესი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტი საჯარო მოხელეებისთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის, მათი შესაძლებლობების გამოვლენის, პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირებისა და მოგვარების სტრატეგიების დაგეგმვის მიზნით უზრუნველყოფს კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებას. პროგრამით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადება სხვადასხვა სფეროებში. გადამზადების პროცესი შედგება სამი ეტაპისაგან: მოსამზადებელი ეტაპი, გადამზადების ეტაპი და შედეგების მონიტორინგი. გადამზადების მიზნით ხორციელდება შემდეგი აქტივობები: 1. ტრენინგ-საჭიროებათა კვლევა (ანკეტირება); 2. მიღებული მონაცემების ანალიზი, სისტემატიზაცია, ერთიანი ბაზის ფორმირება, პრიორიტეტული მოდულების იდენტიფიცირება; 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამისი წლის გეგმის განხორციელება; 4. მიმდინარე პროცესისა და შედეგების მონიტორინგი-შეფასება,

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
საჯარო მოსამსახურეთა სწავლება	300 000	70 000	70 000	80 000	80 000
სულ პროგრამა	300 000	70 000	70 000	80 000	80 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2019 წელი (საბაზისო)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
დანერგვითი საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა	პროგრამაში ჩართული საჯარო მოხელეების რაოდენობა	0	180	180	180	180	რაოდენობა	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია	მონიტორინგი